



შპს „საერთაშორისო აკადემია ლოგოსი“

სახელი, გვარი _____

ତାରିଖ _____

XI კლასი
(30 ქულა)

1. (10) საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ ტოლერანტობა (სხვა რელიგიისა თ ეროვნების ადამიანთა შემწყნარებლობა) უპრონციპობაა. არგუმენტირებულად უარყავით ეს მოსაზრება ან მხარი დაუჭირეთ მას. (100 სიტყვაზე ნაკლები არ გასწორდება).



2. (10) ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოხმობილი ნაწარმოები:

მურმან ლებანიძე – * (ყვავილების მდინარეს)**

ყვავილების მდინარეს კუბო ცისკენ მიჰქონდა:
იწვა გალაკტიონი და თავისას ფიქრობდა.
აღმართ-აღმართ მდინარე მთაწმინდისკენ დიოდა:
იწვა გალაკტიონი - მოხუცს ბეჭი სტკიოდა.
ალბათ, შუბლიც სტკიოდა - მაინც, მეფურ იერით,
იწვა მკერდბუმბერაზი, ხნიერი და ძლიერი.
რაღაც პათეტიკური მას სიკვდილშიც დაჰკრავდა:
იწვა, როგორც ყოველთვის, ახლაც არვის არ ჰგავდა.
ეს სიკვდილი, ეს დაფნა, ეს მზე ოქროცურვილი -
იყო ეს ყველაფერი მხოლოდ მისი სურვილით.
დირიჟორი თვით იყო! რაც მოხდა და გათავდა
და რაც ახლა ხდებოდა, - მისი ჟინი მართავდა...
ყვავილების მდინარეს რკინის კუბო მიჰქონდა,
იწვა გალაკტიონი, სივრცეებზე ფიქრობდა.
უცბად შავმოვლებული შეჩოჩქოლდნენ დროშები,
უცბად, მამადავითის ბჭესთან შედგნენ მგოსნები:
კონსტანტინე-ბატონთან ლეონიძეც იქ იდგა.
„რა ჰქნა?“ - უმისამართოდ ჩიქოვანმა იკითხა.
„რა ჰქნა?“ - ახლა ირაკლიმ თქვა და თავი დახარა, -
იმ დღეს ავად მენიშნა ეს ამდენი ჭალარა...
სდუმდრნენ დიდოსტატები, იდგნენ მხრების კანკალ
დასწყებოდა მთაწმინდას საუკუნის სამკალი.
წინ გვიძლოდა სიკვდილით სივრცეების მხილველი,
მიდიოდა ამაყი და სიკვდილშიც პირველი.
იყო ცხრაას ორმოცდაცხრამეტი წლის ტალახი,
იყო ფრთხილად გაჭრილი წმინდა ძვალთშესალაგი.
ალაგ სამხარ მიწაში იყო მარტის ამინდით
ტალახში აზელილი უძველესი კრამიტი.
რაღაც პათეტიკური მას სიკვდილშიც დაჰკრავდა,
იწვა, როგორც ყოველთვის, ახლაც არვის არ ჰგავდა.
ერთი-ორი სხვაც ჰყავდა,
ვინც მშობლისთვის იბრძოდა,
მაგრამ ჯისაც მარხავდა, საქართველომ იკოდა!



ა . (2). განმარტეთ, როგორ გესმით პირველი სტრიქონი (ახსენით ეს მეტაფორა)

ბ . (2) როგორ გესმით რეფრენის (გამეორებული სტრიქონების) როლი ლექსში ?

გ. (1) როგორ გესმით სიტყვები : „დირიჟორი თვით იყო!“? -----

დ. (5) იმსჯელეთ, ლექსის მიხედვით, როგორ დამოკიდებულებას ამჟღავნებს მურმან ლებანიძე გალაკტიონის, როგორც პოეტისა და როგორც პიროვნების მიმართ (განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ეპითეტებსა და ბოლო სტრიქონებს).

შეაფასეთ ლექსი, გამოხატეთ თქვენი დამოკიდებულება.



3. (1). რომელია არასწორი ფორმა:

1. ფუნდამენტური 2. ფაქტობრივი 3. ექსპერიმენტალური 4. ესთეტიკური

4. (1). ამოარჩიეთ სწორი ფორმა:

1. ასმეერთე 2. ას მეერთე 3. ას პირველი 4. ასერთი

5. (1). ამოარჩიეთ არასწორი ფორმა:

1. ვუთანაგრძობ 2. უარვყოფ 3. ცხადვყოფ 4. თანავუგრძნობ

6. (1). ძალიან ყვითელი არის

1. ჩახჩახა 2. ხასხასა 3. ღაჟღაჟა 4. ქათქათა

7. (1). რომელია სწორი ფორმა :

- I. თქვენსკენ II. ჩვენსკენ III. შენსკენ IV. მისკენ

8. (2) ფრაზეოლოგიზმებს მიუწერეთ შესაბამისი მნიშვნელობა:

(1). კუმ ფეხი გამოყო -----

(1). რა ქარმა გადმოგაგდო -----



9. (2) განმარტეთ, რა შეიძლება იყოს:

(1). სასთუმალი -----

(1). იოტისოდენა -----

10.(1) დაასახელეთ ომონიმ „ბალის“ სამი მნიშვნელობა:
